შემოსვლის თარიღი: 15.06.2018წ.

გასვლის თარიღი: 30.10.2018წ

**დასკვნა**

ქ. ბათუმში, ვ. აბაშიძის ქ. №21-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით მისი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობა კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე მიეკუთვნება კაპიტალურობის III ჯგუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 100 წელს. ფაქტობრივად შენობა ამორტიზირებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვთ მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება შესაძლებელია, თუმცა ჩასატერებელი სამუშაოების დიდი მოცულობისა და ღირებულებიდან,გამომდინარე მიგვაჩნია გაუმართლებლად. გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო შენობის შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი. ცალკე საფრთხის შემცველია მიშენებული ნაწილების ექსპლუატაციაც სამშენებლო სეისმურ ნორმებთან შეუსაბამობის გამო.

გიორგი შარჯანიძე